

**ზმნის ქვევის ნიშნების კანონზომიერება ქართულ
ენაში – ეტიმოლოგიურ-დიაქრონიული კვლევა**
**PATTERN OF VERSION MARKERS IN GEORGIAN
ETYMOLOGICAL-DIACHRONIC STUDY**

ზურაბ ვახანია

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Zurab Vakhania

St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Version is one of the main features, though one of the disputed categories of the Georgian language. Its essence is unclear; the distribution of version markers seems rather illogical. We argue that upon its emergence, such distribution was completely natural. Version is a verbal form-semantic category that expresses functional relation, showing to whom the verbal action/state is intended (regardless of the acting subject).

The emergence of the forms of version were determined by:

- The marking of verbal forms by means of specific vowel prefixal morphs in order to express intention of action/state – to which person the action/state is intended. This is the way the non-neutral version forms - the tri-personal verbs were constructed

- Identification of to whom the action/state is intended in a non-neutral form: whether it is intended to a principal/important person (with i- prefixal morph) or to another person (with u- prefixal morph). principal/important persons are: I and II persons (all) and active III person, while a passive III person is not principal/important.

Thus, along with their neutral forms, a vast majority of verbs have developed two morphologically marked forms: 1) those with i- prefixal morph - possessing, acting in the interest of the main person ; 2) those with u- prefixal morph - possessing, acting in the interest of the other person.

This pattern occurs in all non-neutral forms of any verbs (less rare exceptions). Later, however, the function of the category of version and its connection with other categories have been altered. Version markers are very old. The language has applied them also for other purposes which complicated the current situation and provided exceptions. Neutral version does not have a marker. The a- prefixal morph is not a version marker. The very prefixal morph had emerged long before the category of version was formed.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ზმნის სტრუქტურა, ქვევის კატეგორია.

Keywords: Georgian language, verb structure, category of version.

ქცევა უდავოდ ქართული ენის ერთ-ერთი მთავარი და სიღრმისეული თავისებურებაა, თუმცა ერთ-ერთი სადავო კატეგორიაცაა. გაურკვეველია მისი რაობა, არალოგიკური ჩანს ქცევის ნიშნების განაწილება: რატომაა, რომ სათავისო/სასუბიექტო ქცევის ნიშანია ი-, ხოლო სასხვისო/საობიექტო ქცევის ნიშანია იგივე ი- და აგრეთვე უ-. ეს ყოველივე იმითაა გამოწვეული, რომ ქცევის კატეგორიას ათასწლეულთა განმავლობაში ეცვლებოდა დანიშნულება და კავშირი სხვა კატეგორიებთან, მაგ., უკუქცევითობასთან (სუბიშვილი 2011: 220; მახარობლიძე 2020: 23). ქცევის ნიშნები ძალიან ძველია. ისინი შემდეგ სხვა რამდენიმე დანიშნულებითაც გამოიყენა ენამ (მაგ., თურმეობითის ფორმისთვის). ამან კი ვითარება კიდევ უფრო გაართულა. წინამდებარე სტატია მხოლოდ ძველისძველ დიაქრონიულ ანუ ეტიმოლოგიურ საკითხს ეხება - ქცევის ფორმების წარმოშობის საკითხს. აღმოჩნდება, რომ ქცევის ნიშნების განაწილება სრულიად კანონზომიერია.

ჩვენ ცხრილის სახით წარმოვადგინეთ ქცევის ფორმების ყველა შესაძლო კომბინაცია:

	I პირი	II პირი	იგივე III პირი	სხვა III პირი
პირი	ვ-ი-წერ	გ-ი-წერ	-	ვ-უ-წერ
პირი	მ-ი-წერ	ი-წერ	-	ვ-უ-წერ
პირი	მ-ი-წერ-ს	გ-ი-წერ-ს	ი-წერ-ს	უ-წერ-ს

გარდამავალი ზმნისთვის, როგორც ცხრილიდან ჩანს, სულ 10 შესაძლებლობაა. მათგან სათავისოა მხოლოდ 3 (ცხრილში - მუქ შავ ჩარჩოში): I პირი - I პირისთვის; II პირი - II პირისთვის; III პირი -III პირისთვის, ოღონდ თავისთვის. ყველა სხვა, 7 შემთხვევაში მოქმედება სხვისთვისაა გამიზნული. ზუსტად ასევეა მეორე სერიაშიც (ხოლო მესამე სერიაში ქცევის ფორმების მარკირება მოიშლება, ნეიტრალიზდება).

მთავარი	პირები	სხვა პირი
I პირისთვის	II პირისთვის	III პირისთვის
მ-ი-შენდება	გ-ი-შენდება	უ-შენდება
მ-ი-თეს-ია	გ-ი-თეს-ია	უ-თეს-ია
მ-ი-ზის	გ-ი-ზის	უ-ზის

გარდაუვალ ზმნას აქტიური მოქმედი პირი არ უჩანს, ასევე, სამიზნე მესამე პირი მხოლოდ პასიურია. ამიტომ მხოლოდ 3 შესაძლებლობა რჩება: გარდამავალი ზმნებისგან განსხვავებით, ზოგ ვნებით ზმნას მესამე სერიაშიც უნარჩუნდება ქცევის არანეიტრალური ფორმები, მაგ.:

ამშენებია / ამშენებოდა / ამშენებოდეს, აგშენებია / აგშენებოდა / აგშენებოდეს, ა(ჰ)შენებია / ა(ჰ)შენებოდა / ა(ჰ)შენებოდეს. თუმცა ამ ფორმებში ქცევა ი-/უ- თავსართებით აღარაა გამოხატული. ცხადია, ეს, ისევე როგორც მთლიანად მესამე სერია, გვიანდელი ვითარებაა.

თავსართების ულოგიკო განაწილების გამო ხშირია შეცდომა: მაგ.: მიშენებს, მიზრდის, მიხატავს და სხვა ამგვარი ფორმები ხშირად ერევათ სათავისოში: რაკი მე მიშენებს, სათავისოაო. სინამდვილეში მიშენებს იგი მე მას - „მე“ ირიბი ობიექტია, მესამე პირის მოქმედება მისთვისაა გამიზნული, ამიტომ ქცევა სასხვისოა.

ასევე შეიძლება შეცდომა გამოიწვიოს ტრადიციულმა ტერმინმა „საარვისო ქცევა“. მაგ.: აშენებს - სულაც არაა ცხადი, რომ მოქმედება „არავისთვისაა“, პირიქით, რაკი აშენებს, ესე იგი, ალბათ ვიღაცისთვისაა გამიზნული. უბრალოდ, ზმნის ფორმაში არ ჩანს, ვისთვისაა. ამიტომ უმჯობესია ტერმინი „ნეიტრალური ქცევა“ (ჩიქობავა 1938). თუმცა, როგორც ჩვენ დავასაბუთებთ, არ ვარგა ტერმინები „სასუბიექტო ქცევა“ და „საობიექტო ქცევა“.

ტრადიციული განმარტებით, ქცევა გვიჩვენებს კუთვნილებით მიმართებას სუბიექტ-ობიექტებს შორის (შანიძე 1953). კერძოდ, სასხვისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი განკუთვნილია ირიბისთვის: ავუშენე მე ძმას სახლი - სახლი განკუთვნილია ძმისთვის. მაგრამ ვნებითი გვარის, გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში ასე არაა - თვით სუბიექტია განკუთვნილი ირიბი ობიექტისთვის: ძმას სახლი უშენდება. ამიტომ სასხვისო ქცევის განმარტება ზოგადად ვერ გამოდგება. უფრო მეტიც, ტრადიციული განმარტება თვით გარდამავალი გვარის ზმნის შემთხვევაშიც კი ზოგჯერ ვერ ამართლებს: დაუნგრია მტერმა ძმას სახლი. უაზროა აქ იმის თქმა, რომ პირდაპირი ობიექტი (სახლი) განკუთვნილია ძმისთვის. ამიტომ ჩვენ დავაზუსტებთ განმარტება: პირდაპირი ობიექტი (ვნებითი გვარისთვის - სუბიექტი) კი არაა განკუთვნილი ირიბისთვის, არამედ - მოქმედება ან მდგომარეობაა გამიზნული ირიბისთვის.

ამასვე ადასტურებს ქცევის ცნების საერთაშორისო სახელ-წოდებანი: ვერსია (მობრუნების მიმართულება), ადრესივი (მისამართის მიმნიჭებელი) და დესტინატივი (დანიშნულების მიმნიჭებელი).

მაშასადამე, მთავარი და არსებითია არა კუთვნილებითი, არამედ დანიშნულებითი მიმართება (სუხიშვილი 2011: 550); კიდევ უფრო ზუსტად - გამიზნულობა: თუ ვისთვისაა/რისთვისაა გამიზნული მოქმედება/მდგომარეობა (მოქმედი სუბიექტისგან დამოუკიდებლად).

წინათ ჩვენ გამოვავლინეთ ქართველურ ენა-კილოთა მთავარი თავისებურება - ფსიქოლოგიზმი. კერძოდ: **ძლიერი სუბიექტივიზმი, ექსპრესიულობა და ინტერსუბიექტურ (პირთაშორის) დამოკიდებულებათა გამახვილებული გამოხატვა**. ეს ჩანს ფონეტიკაშიც, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაშიც, სინტაქს-სტილისტიკაშიც (სიტყვათრიგი) და მორფოსინტაქსშიც. მაგ., ზმნის პირები არაა თანასწორი, მათ შორის თითქოს იერარქიული დამოკიდებულებაა. გამარტივებულად:

„უმაღლესია“ (ყველაზე მნიშვნელოვანია) I და II სუბიექტურ-აქტიური პირები,

შემდეგ - I და II ობიექტურ-პასიური პირები და III სუბიექტურ-აქტიური პირი,

ბოლოს - III ობიექტურ-პასიური.

არგუმენტები ძალიან მოკლედ: 1) „ვინ ჯგუფი“ / „რა ჯგუფი“ (I და II პირები ყოველთვის „ვინ ჯგუფისაა“), 2) ზმნის ობიექტის ნიშნები - არის თუ არა პირი მარკირებული თავისი სართით, 3) აქვს თუ არა იმის ძალა, რომ ზმნა რიცხვში შეითანხმოს, 4) ასევეა შედგენილი შემასმენლის შემადგენელი მიმღეობის რიცხვი.

ქცევისთვის არსებითია ამ იერარქიის მხოლოდ ორი დონე:

I და II პირები (ყველა) და მათთან III აქტიური პირი – მთავარი, მნიშვნელოვანი პირები;

III პასიური პირი – ნაკლებმნიშვნელოვანი, სხვა პირი.

სწორედ ზმნის პირების იერარქიის შესაბამისადაა განაწილებული ქცევის ნიშნები. უპირველესად, ქცევას ის განსაზღვრავს, თუ ვისთვის/რისთვისაა გამიზნული მოქმედება. სწორედ გამიზნულობის მორფოლოგიურმა მარკირებამ გააჩინა სამპირიანი ზმნები. შემდეგ ი-თავსართი შეესაბამება „მთავარი/მნიშვნელოვანი“ პირისთვის გამიზნულ მოქმედებას, ხოლო უ- - სხვა პირისთვის გამიზნულ მოქმედებას. ამიტომ ქცევას თავდაპირველად ორი ფორმა ჰქონდა და სწორედ ეს ქმნიდა ორ მარკირებულ, ანუ არანეიტრალურ ქცევას:

1. ი-თავსართიანი – შესატყვისი სახელწოდებაა „სამთავარპირო ქცევა“.

2. უ-თავსართიანი – შესატყვისი სახელწოდებაა „სასხვაპირო ქცევა“.

ეს კანონზომიერება ზუსტი და თანმიმდევრულია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. ამასთან, დარჩა ზმნათა მცირე ნაწილი, რომლებსაც არანეიტრალური ქცევის ფორმები არ გააჩნია, ვინაიდან მათ ზმნის კონკრეტული სემანტიკა გამორიცხავს (მაგ., არის, ჰყავს, დარბის, ერიდება, თბილა...). ასევე დარჩა რამდენიმე გამონაკლისი - „პირობითად უქცევო“ ზმნები, რომლებიც ნეიტრალურია, მიუხედავად ქცევის ნიშნებისა: იცის, უწყის, უყვარს/მიყვარს, უნდა/მინდა. უფრო რთულია ზმნა ი-გრძნო. თითქოს მას აქვს შესაპირისპირებელი ფორმა უ-გრძნო. მაგრამ, არსებითად, ეს სხვა ზმნაა:

მ-ი-გრძნო გულმა მე ის \ უ-გ-რძნო გულმა მას ის – სამპირიანი, სასხვისო ქცევა.

ვ-ი-გრძენ(ი) მე ის \ ი-გრძნო მან ის (ძვ. ქართ. ჰგრძნა) \ მ-ი-გრძნო მან მე – ორპირიანი.

ორპირიანი ფორმა ამჟამად არის უქცევო, რადგან, მიუხედავად ქცევის ნიშნისა, მას არ მოეპოვება შესაპირისპირებელი ფორმები: *ვუგრძენი \ გაგრძენი \ ვგრძენი.

სხვაგვარი გამონაკლისებიცაა: ქცევის ფორმების ნაკლებობა, ანდა არანეიტრალური ქცევის ფორმის დამთხვევა ნეიტრალურთან. ამას

კონკრეტული ზმნის კონკრეტული მნიშვნელობა იწვევს; ნეიტრალური მოქმედება თავისთავად რომ თითქოს „სათავისო“ (მაგ.: მოიტანა, მოიპოვა, დაინახა...), ან თითქოს „სასხვისო“ (მაგ.: უთხრა). თუმცა ასეთი გამონაკლისები წარმოშობის ზოგად კანონზომიერებას არ არღვევს, ხოლო სხვაგვარ გამონაკლისთა საერთო წილი 1 %-ზე ნაკლებია.

მაშასადამე, ზმნის ქცევის ნიშნებია ი- და უ- თავსართები, ხოლო ნეიტრალურ ქცევას (ე.წ. „საარვისო ქცევას“) ნიშანი არ გააჩნია. ა- თავსართი არაა ქცევის ნიშანი. ეს თავსართი უფრო ძველია, ვიდრე ქცევის კატეგორია ჩამოყალიბდებოდა. სავარაუდოდ, ისაა აქტიურობის მარკერი - გარდამავლობისა და უძველესი კაუზატივის მაწარმოებელი.

დასკვნა: ქცევა უდავოდ ქართული ენის ერთ-ერთი მთავარი და სიღრმისეული თავისებურებაა. თუმცა ერთ-ერთი სადავო კატეგორიაცაა. გაურკვეველია მისი რაობა, არალოგიკური ჩანს ქცევის ნიშნების განაწილება. ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ქცევის წარმოშობისას ეს განაწილება სავსებით კანონზომიერი იყო.

ქცევა არის ზმნის ფორმოზრიგ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოიხატავს, დანიშნულებით მიმართებას გამოხატავს, კერძოდ, თუ ვისთვისაა/რისთვისაა გამოიხატული მოქმედება/მდგომარეობა (მოქმედი სუბიექტისგან დამოუკიდებლად).

ზმნის ქცევის ფორმების წარმოშობის განმსაზღვრელი იყო:

ზმნის ფორმის მარკირება სპეციალური ხმოვანთავსართებით, რათა გამოხატულიყო მოქმედების/მდგომარეობის მიზნობრიობა – რომ მოქმედება/ მდგომარეობა რომელიდაც პირისთვისაა გამოიხატული. ასე წარმოიშვა ზმნის არანეიტრალური ქცევის ფორმები – სამპირიანი ზმნები.

არანეიტრალურ ფორმაში იმის გარჩევა, თუ ვისთვისაა/რისთვისაა გამოიხატული მოქმედება/მდგომარეობა: მთავარი/მნიშვნელოვანი პირისთვის (ი- თავსართით) თუ სხვა პირისთვის (უ- თავსართით). მთავარი/მნიშვნელოვანი პირებია: ზმნის I და II პირები (ყველა) და აქტიური III პირი, ხოლო პასიური III პირი არაა მთავარი/მნიშვნელოვანი.

შესაბამისად, ზმნათა უდიდეს უმრავლესობას ნეიტრალური ფორმების გვერდით ჩამოუყალიბდა ორი-ორი მორფოლოგიურად მარკირებული ფორმა:

1. ი-თავსართიანი – შესატყვისი სახელწოდებაა „სამთავარპირო ქცევა“.

2. უ-თავსართიანი – შესატყვისი სახელწოდებაა „სასხვაპირო ქცევა“.

ეს კანონზომიერება ყოველგვარი ზმნის ყველა არანეიტრალურ ფორმაშია (უმნიშვნელო რაოდენობის გამონაკლისთა გარდა). თუმცა შემდგომში ქცევის კატეგორიას, ათასწლეულთა განმავლობაში, ეცვლებოდა დანიშნულება და კავშირები სხვა კატეგორიებთან. ქცევის ნიშნები ძალიან ძველია. ისინი შემდეგ სხვა რამდენიმე დანიშნულებითაც გამოიყენა ენამ, რამაც თანამედროვე სინქრონიული ვითარება ძალიან გაართულა და გამონაკლისები გააჩინა.

ნეიტრალურ ქცევას (ე.წ. „საარვისო ქცევას“) ნიშანი არ გააჩნია. ა-თავსართი არაა ქცევის ნიშანი. ეს თავსართი უფრო ძველია, ვიდრე ქცევის კატეგორია ჩამოყალიბდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ვახანია 2013: ვახანია ზ., განწყობის თეორია და ენათმეცნიერება. ქართული ენის თავისებურება. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“. თბილისი, 2013.

სუხიშვილი 2011: სუხიშვილი მ., უკუქცევითობა, ქცევის კატეგორია. ერთობლივი მონოგრაფია „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“. თბილისი, 2011.

შანიძე 1953: შანიძე აკ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი, 1953.

ჩიქობავა 1938: ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), ტ. 1. თბილისი, 1938.

Makharoblidze 2020: Makharoblidze T., The Georgian Verb (ინტერნეტვერსია).